



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ივერიელი (ლეკიშვილი) ვაჟა პლატონის ძე



ვ. ივერიელი

ივერიელი (ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი) ვაჟა პლატონის ძე (1. X. 1925, ფოთი, - 27. VI. 1999, თბილისი), ენდოკრინოლოგი, მეცნ. და კლინიკური ენდოკრინოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964), საქართველო მეცნ. დამს. მოღვაწე (1981), საქართველო მედ. მეცნ. და სამედ.-ბიოლ. აკადემიების ნამდვ. წევრი (1981).

1946 დაამთავრა თსსი. 1958-მდე მუშაობდა სსრკ სამედ. აკადემიის აკად. ვ. ბარანოვის ენდოკრინოლოგიური ჯგუფის მეცნიერ მუშაკად. 1962-63 მივლინებული იყო დიდი ბრიტანეთის ენდოკრინოლოგიურ ცენტრებში. 1972-78 მუშაობდა საქართველო ჯანდაცვის სამინისტროს მთ. ენდოკრინოლოგად. 1967-83 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ენდოკრინოლოგიის კათედრას, 1991-იდან იყო თბილ. სახელმწ. სამედიცინო აკადემიის ენდოკრინოლოგიის კათედრის გამგე. 1997-იდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მისივე თაოსნობით დაარსებულ ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრს (1999 ცენტრს მისი სახელი ეწოდა).

ი-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფსიქოსომატური და კორტიკო-ვისცერალური თეორიების საფუძვლების დამუშავებაში. აღსანიშნავია ი-ის შრომა, მიძღვნილი გულის ანევრიზმისადმი, რ-ის დიაგნოზი საქართველოში პირველად მან დასვა. ი-მა შეისწავლა შაქრიანი დიაბეტის გართულებათა ეტიოპათოგენების, ეპიდემიოლოგიის, მკურნალობისა

და პროფილაქტიკის საკითხები; ზოგადი სიმსუქნის ეტიოპათოგენების და მკურნალობის საკითხები; შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სიმსუქნის დიეტოთერაპიისა და მოსახლეობის ჯანსაღი კვების პრობლემები. ი-მა სსრკ-ის მასშტაბით პირველმა შეისწავლა დიაბეტური რეტინოპათიის პრობლემები. მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია დიაბეტური რეტინოპათიის შესახებ ფართოდ გავრცელდა საკავშირო მასშტაბით. ი-ის შრომებში ნაჩვენებია იყო დარღვეული დიაბეტური მეტაბოლიზმის კომპენსაციის უდიდესი მნიშვნელობა ნეიროპათიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში. ი. 1974-იდან იყო საქართვე. ენდოკრინოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1991-იდან - საქართვე. დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტი.

იყო უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი (1980), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

*თბზ.:* ენდოკრინულ ჯირკვალთა დაავადებები, თბ., 1962; ენდემური ჩიყვის გავრცელების დინამიკა საქართველოში, თბ., 1992 (თანაავტ.); Диабетическая ретинопатия, М., 1968 (თანაავტ. Д. Скотт); Диабетическая ретинопатия, Тб., 1974 (თანაავტ.); О патогенезе диабетического поражения миокарда, М., 1984 (თანაავტ.); Классификация ангиопатии нижних конечностей при сахарном диабете, М., 1988 (თანაავტ.).

**ს. ბაქრაძე**

---